ბრძანება:№36. 362406125
თარიღი:01/03/2024

2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი1.საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და სამუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2025 წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ავთანდილ თალაკვაძე- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე;

ბ) გიორგი ღურჯუმელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- თანათავმჯდომარე;

გ) ნათია გოლიაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

დ) ნიკა ბოლქვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ე) პავლე ჭყონია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;

ვ) გიორგი ჩაგანავა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი;

ზ) გოჩა აბაშმაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი;

თ) ლალი სიჭინავა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

ი) ხათუნა სურგულაძე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი;

კ) მაიზერ ცელაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური - ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი;

ლ) ნატალია ხომერიკი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი;

მ) ნინო ჭანიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნ) სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავჯდომარეებსა და ფრაქციების თავმჯდომარეებს;

2. სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრები:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები;

გ) ოზურგეთის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი; დ) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი /წარმომადგენლები; ე) სხვადასხვა დარგის სპეციალისტები;

ვ)ეთხოვოს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, უზრუნველყოს მათი წარმომადგენლის ჩართვა სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

მუხლი2.სამუშაო ჯგუფი იკრიბება თვეში ორჯერ, სადაც განხილული იქნება განხორციელებული აქტივობები და დაიგეგმება შემდგომი ღონისძიებები.

მუხლი3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, მერიის სამსახურებთან ერთად, უზრუნველყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2025 წლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია, საჭიროების მიხედვით ჯგუფის მუშაობაში არამუდმივი წევრების მოწვევა და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიური კონსულტაციების გაწევა.

მუხლი4.სამუშაო ჯგუფს დაევალოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2025 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში საპილოტე პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი.

მუხლი5.არაუგვიანეს 2024 წლის 1 აგვისტომდე სამუშაო ჯგუფმა მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით, უზრუნველყოს მოსახლეობის საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოკვეთა და შესაძლებლობის მიხედვით მათი 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიაში გათვალისწინება.

მუხლი6.ა) არაუგვიანეს 2024 წლის 15 აგვისტომდე სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი პარამეტრების შესაბამისად პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებას და მერისთვის წარდგენას;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული პროგრამების საერთო ჯამი აღემატება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად პარამეტრებს, სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს ზღვრულ მოცულობაზე ზემოთ არსებული პროგრამების რანგირებას და მერისთვის წარდგენას.

მუხლი7.არაუგვიანეს 2024 წლის 1 სექტემბრამდე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის გადამუშავება.

მუხლი8.არაუგვიანეს 2024 წლის 15 ოქტომბრამდე საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს მიერ მოწოდებული დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი პარამეტრების (გადამუშავებული) შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის გადამუშვება და მერისთვის წარდგენა.

მუხლი9.არაუგვიანეს 2024 წლის 25 ოქტომბრამდე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს 2025- 2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის გაცნობა დაინტერესული მხარეებისათვის.

მუხლი10.არაუგვიანეს 2024 წლის 10 ნოემბრამდე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენა მერისათვის.

მუხლი11.დამტკიცდეს

ა) პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების კალენდარი დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) 2025-2028 წლების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი და საბოლოო ვერსიისთვის პრიორიტეტების სტრუქტურის ფორმა დანართი 2- ის შესაბამისად;

გ) პროგრამების სტრუქტურის ფორმა პროგრამული ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისთვის დანართი 3-ის შესაბამისად;

დ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა დანართი 4-7 შესაბამისად;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 8-9 დანართების შესაბამისად;

მუხლი12.დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს:

ა) შიდა საბიუჯეტო კალენდარი საბიუჯეტო კოდექსისა და ამ ბრძანებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

ბ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

გ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

მუხლი13.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ოზურგეთი, ი.სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის სესაბამისად;

მუხლი14.ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,, 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებათა შესახებ'' ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 01 მარტის № ბ36.362306017 ბრძანება.

მუხლი15.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ავთანდილ თალაკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი